



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის

მ მ მ მ №12

ქ. ბათუმი

2018 წლის 31 აგვისტო  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დimitრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ნატალია ძიმიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
<b>არ ესწრებოდნენ:</b>	
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;

## **სხდომას ესწრებოდნენ:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ე. ქავჭარაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე-საზოგადოებას მიულოცა მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული და ბათუმობა. მან აღნიშნა, რომ ამ დღეებში მთელმა მსოფლიომ და საქართველომ პატივი მიაგო აშშ-ის სენატორს ჯონ მაკეინს, რომელიც 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამერიკასა და მსოფლიოში საქართველოს ერთ-ერთი მხარდამჭერი ლობისტი იყო, მას აქვს ძალიან ბევრი განცხადებები საქართველოს შესახებ, მაგრამ დასამახსოვრებელი იყო 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გაკეთებული განცხადება, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, რომ „ჩვენც ქართველები ვართ“. ის იყო საქართველოსთვის უცხოელი პოლიტიკოსი მეგობარი. საკრებულოს წევრებმა პატივისცემის ნიშნად წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ჯონ მაკეინის ხსოვნას.

სხდომა დღის წესრიგის მიხედვით გაგრძელდა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებზე ჩატარებულია საკრებულოს კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დადებითი დასკვნები. მან სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

## დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მაისის 43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ ნებართვის მაძიებლებზე სამარშრუტო ხაზების მიხედვით ნებართვის გაცემის და მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

5. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ მისი ძირითადი მიმართულებაა ქალაქ ბათუმს შემოერთებული მოსახლეობის პრობლემები, კერძოდ კახაბრის ქუჩის მე-2 და მე-3 ჩიხებში მცხოვრები მოქალაქეების პრობლემა. განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის მე-9 ჩიხის ბოლოდან იწყებოდა არხი, რომელიც ჩაედინება მდ. მეჯინისწყალში. წლების განმავლობაში გაუწმენდელობის გამო ის გადაიქცა ჭაობად, ეკალ-ბარდითა და წყალმცენარეებით დაფარულ არხად. 2017 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ხელისუფლებამ ფაქტობრივად მოსახლეობის მოსატყუებლად შემოიტანა და დაასაწყობა საკანალიზაციო მილები. მოსახლეობისა და სპეციალისტთა შეფასებით აღნიშნული მილები იმდენად მცირე დიამეტრის იყო არხთან შედარებით, რომ ის ვერ გაატარებდა წყლის დიდ მასას. არაერთხელ მიმართეს ხელისუფლებას, მაგრამ უშედეგოდ. ის შეხვდა მოსახლეობას და მან თხოვნით მიმართა ადგილზე მისვლით შესწავლილი იქნას აღნიშნული პრობლემა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, მირდატ ქამაძემ განაცხადა, რომ ქართველებმა IV საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა და ამ პატარა ერს დიდი ისტორია აქვს მისი გეოგრაფიული განლაგების გამო. ხშირად დიდი ისტორია პატარა ქვეყნებში იწერება და ეს გამოთქმა დღეს ნამდვილად საქართველოს ეხება, რუსეთის ჯარი შეიჭრა საქართველოში და მის დამოუკიდებლობას დაემუქრა. პირადად ნამყოფია სამხრეთ ოსეთში და რაც თვალში მოხდა იყო პუტინის უზარმაზარი პლაკატი წარწერით: „ჩვენი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი“, აქ კომენტარი ზედმეტია. რუსეთმა დაამტკიცა, რომ იგი ვერ შეეგუება ვერცერთ ქვეყანას, რომელიც დასავლეთზეა ორიენტირებული და დასავლეთის ფასეულობებს იზიარებს. საქართველოს პრეზიდენტმა იცის, რომ ამერიკელი ხალხის ფიქრები, მილოცვა და მხარდაჭერა ამ პატარა მამაც ერთანაა, რომელიც დღეს თავისუფლებისათვის და თავდადებისათვის იბრძვის. ყველა ამერიკის ნაცვლად დღეს ჩვენ ქართველები ვართ - ეს სიტყვები ეკუთვნის ჯონ მაკეინს. მადლობა გადაუხადა სხდომის თავმჯდომარეს, რომ სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო. სიმბოლური იქნება ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩისთვის ჯონ მაკეინის სახელის მინიჭება. ის

საქართველოს დიდი მოკავშირე იყო და გამოცხადებულია ჩვენი ქვეყნის ეროვნულ გმირად. მას ოფიციალური განცხადება არ შემოუტანია, რადგან არ სურს, რომ ეს ერთი პარტიის საკითხი იყოს. მან აღნიშნა, რომ ერთად იმსჯელონ და კონსენსუსის გზით მიიღონ გადაწყვეტილება, - მრავალპარტიული უნდა იყოს ეს საკითხი. გაზეთ „ბათუმელებს“ ჰქონდა გამოკითხვა ამ საკითხზე და გამოკითხულთა 55 პროცენტი მომხრეა ლერმონტოვის ქუჩისათვის ჯონ მაკეინის სახელის მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ საკრებულოში ოფიციალურად შემოსული საკითხი იქნას განხილული.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ წინა სხდომებზე გაკეთებული განცხადებების საფუძველზე სხდომას უნდა დასწრებოდნენ მერიის წარმომადგენლები, ხელმძღვანელები და სამსახურის უფროსები, მაგრამ დღეს სამწუხაროა, სხდომას არ ესწრებიან.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომაზე ხდება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა, განცხადებების ბლოკში არაა ცნობილი თუ რა განცხადებები გაკეთდება, რომელი სამსახურის მიმართ, ამიტომ განცხადებების ბლოკიდან ამონაწერი იგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში და საკრებულოს აპარატს დაავალა აღნიშნულ საკითხებზე პასუხი ცნობილი გახდეს საკრებულოსთვის.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას უნდა ესწრებოდნენ მერიის წარმომადგენლები. ბათუმობის დღესასწაულს რაც შეეხება მისასალმებელია, მაგრამ მას მერიიდან აცნობეს, რომ ბათუმობაზე ტარდება ე.წ. პარადი. გამომდინარე აქედან თანამშრომლების იძულების წესით პარადის ჩატარება მიუღებელია.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ წამოაყენა წინადადება ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოებთან“ დაკავშირებით, რომელიც ქალაქის პრობლემატური საკითხია. შემდგომ სხდომაზე ან სხდომის გარეშე მოწვეული იქნას ხელმძღვანელი კითხვებზე საპასუხოდ ჩაქვში სასაფლაოების მიმდინარე სამუშაოების თაობაზე, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ დაავალა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ნ. ზოიძეს ფრაქციის სხდომაზე მოწვეული იქნას ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ წამოაყენა წინადადება ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით კომპანიებთან მიმართებაში ბევრი კითხვებია და კარგი იქნება ხელმძღვანელებთან შეხვედრა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ნებისმიერ ფრაქციას უფლება აქვს სამსახურის უფროსების მოწვევა.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

## მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო  
ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის  
პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის რეგულირება. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია აღნიშნული პროექტის დამტკიცება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 3 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე)  
არ მიიღო მონაწილეობა - 2 (რ.თავართქილაძე, რ. ზოიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მაისის 43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო  
ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის  
პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭავაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, მოქალაქეზე (მგზავრზე) მორგებული ახალი სამარშრუტო ქსელის დამტკიცება. ამდენად, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია აღნიშნული პროექტის დამტკიცება. ეს ცვლილება მოიცავს სამარშრუტო ხაზების დანართებში ცვლილებას, კერძოდ №20 სამარშრუტო ხაზი მოძრაობდა დედათა და ბავშვთა ცენტრამდე, გაუგრძელდა ხაზი ხახულის ქუჩის გავლით სავაჭრო ცენტრ 2009-მდე და №29 სამარშრუტო ხაზი თამარ მეფის გამზირიდან კაზინეცის და ქათამაძის ქუჩის გავლით იმოდრავებს თამარ მეფის დასახლებიდან ბარცხანაში.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ სამარშრუტო ხაზის შეცვლამდე გზა უნდა შეგემოწმებინათ, რადგან კაზინეცის ქუჩამდე გზა მოსაწესრიგებელია, რის გამოც იქმნება საცობი. გამომდინარე აქედან შეუძლებელია მიკროავტობუსისთვის ხაზის შეცვლა, რაზედაც საკრებულოს წევრმა თ. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ ქუჩაზე გაკეთებული სამუშაოების ტესტირება მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ გზა მოწესრიგდება.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ ძირითადი სტრატეგიის გეგმის საფუძველზე გათვალისწინებული იყო ჭავჭავაძის ქუჩის განტვირთვა, მაგრამ სამარშრუტო ხაზების დანართების საფუძველზე 90% ჭავჭავაძის ქუჩით მოძრაობს, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ დამტკიცებული სამარშრუტო ხაზებიდან 14 მოძრაობდა გორგი-



ლადის ქუჩაზე და 14 სამარშრუტო ხაზი ჭავჭავაძის ქუჩით. ახალი ქსელით 4 სამარშრუტო ხაზი დარჩა გორგილადის ქუჩაზე, 8 სამარშრუტო ხაზი ჭავჭავაძის ქუჩაზე, მაგრამ ყოველდღიური რაოდენობები არის შემცირებული. ბაგრატიონის ქუჩის დატვირთვას რაც შეეხება ძირითადად ქალაქში სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან შემომავალი მიკროავტობუსები გადაინაცვლებს.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 3 (ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ ნებართვის მაძიებლებზე სამარშრუტო ხაზების მიხედვით ნებართვის გაცემის და მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დასამტკიცებელია ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის ჩატარებისათვის შექმნილი კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი №3 თანდართული დანართით. ასევე ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის შედეგების საფუძველზე, სამარშრუტო ხაზების მიხედვით გამარჯვებულ ნებართვის მაძიებლებზე: შპს „ჯორჯიანტრანსი“, შპს ავტოტრანსი“, შპს „მწვანე შუქი“, შპს „ავტომობილისტი“, შპს „ირაკლი ჩავლეიშვილი“, შპს „აჭარტრანსრეგულირება“ გაიცეს ნებართვა და მათთან ხელშეკრულების გაფორმების ვადის განსაზღვრა.

**აზრი  
გამოთქვეს:**

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვები: სამარშრუტო მიკროავტობუსებში ჯიპიარის სისტემის ვალდებულებასთან და ფიზიკური პირის მიერ კონკუსში მონაწილეობაზე უართან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო, როგორც ფიზიკურ პირს, ისე ინდ. მეწარმეს და შპს-ეს. ფიზიკური პირების მიერ განცხადება არ შემოსულა. ჯიპიარის სისტემა მძღოლებისთვის დამატებით ხარჯებს არ წარმოადგენს. მერია სამარშრუტო მიკროავტობუსებს უზრუნველყოფს ჯიპიარის სისტემით, რომლითაც მოხდება ინტერვალის, მოძრაობის გაკონტროლება.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ მაძლობა გადაუხადა ე. ბათუმის მერიას კონკურსის წარმატებით ჩატარებისათვის.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს არ უჭერს, რადგან სამარშრუტო ხაზების მიხედვით ფირმების შექმნა თავიდანვე იყო კორუფციული გარიგების, დაწყებული მარშრუტების გაყიდვებიდან თანხის ამოღებამდე.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ ქალაქში მიმდინარეობს სამარშრუტო ხაზების გაქირავება დღეში 20 ლარად. ჩატარებული კონკურსის შემდეგ, მაგალითად 42 ნომერთან დაკავშირებით 40 სამარშრუტო ხაზიდან 10 არ იხდის გადასახადს. 30 მიკროავტობუსი ვიღაც-ვიღაცებს უხდის გადასახადს.

სხდომის თავმჯდომარემ ნ. დუმბაძის განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკმაოდ კარგი განცხადებაა, რაზედაც სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდებიან.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საკონკურსო პირობებით მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 1(რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 3 (ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე)  
არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის  
სამსახურის უფროსი ევარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებებს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება. თავის მხრივ, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი, ხოლო პრივატიზაციის გეგმა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის საფუძველზე შედგენილი გეგმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტის დასახელების, მდებარეობის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, აუქციონის ფორმის (უპირობო ან პირობებიანი), აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შემქნილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ.

“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებით დამტკიცებულია:

ა) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტთა ნუსხა“, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 1 საპრივატიზებო ობიექტი;

ბ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა“, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 1 პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტი (უძრავი ქონება);

ამასთან, განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ქ. ბათუმი, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 4 337 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება იგეგმება პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების გზით.

## აზრი

### გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა ქონების რეესტრთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გაცემული მთლიანი ნუსხა მისი გამოყენებით განთავსებულია მერიის ვებ-გვერდზე. ქონება იყოფა ორ კატეგორიად: ძირითადი, რომელთა პრივატიზება არ შეიძლება და დამატებითი, რომელთა პრივატიზების პირობის განხილვა შეიძლება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა: 2(ნ. დუმბაძე, ლ. სირაბიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

### დასადგინეს:

**მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

### მთისმინეს:

5. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის იურიდიული

განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სარეკომენდაციო წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 137-ე მუხლის შესაბამისად და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ამოქმედებულ საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესის დამტკიცება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

